OSCE/ODIHR Election Observation Mission
Georgia, Parliamentary Elections 2003
Kipshidze str. Block II, Building I
Tbilisi, Georgia
tel.: +995 32 25 35 26, 25 35 27; fax: +995 32 25 35 23
e-mail: office@odihr.cdn.ge

არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში

3-25 ნოემბერი 2003 წელი

არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში ასახავს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის გამოკვლევებს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებიდან, 25 ნოემბერს მისი პროპორციული ნაწილის გაუქმებამდე. ის მჭიდრო კავშირშია არჩევნებამდე გაკეთებულ ოთხ შუალედურ ანგარიშთან და არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიის მიერ 3 ნოემბერს გამოქვეყნებულ განცხადებასთან წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ. არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია არის ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის პარლამენტის ერთობლივი წამოწყება. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ბრიუს ჯორჯი დამკვირვებელთა მოკლევადიან მისიას ხელმძღვანელობდა, ჯულიან პილ იეიტსი კი ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დამკვირვებელთა გრძელვადიან მისიას ედგა სათავეში. საარჩევნო პროცესის სრული, დასკვნითი ანალიზი ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საბოლოო ანგარიშში იქნება მოცემული.

როგორც წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ განცხადებაში აღინიშნა: „2 ნოემბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები არ შეესაბამებოდა ეუთო-ს წინაშე აღებულ გარკვეულ ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.“ შედეგების შეჯამებისა და საჩივრებისა თუ აპელაციების განხილვის პროცესში განვითარებულმა მოვლენებმა უფრო მეტად ცხადყო, თუ რამდენად არ შესრულდა ამ საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მიერ ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებები და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტები.

არჩევნების მიმდინარეობის მოკლე მიმოხილვა

- არჩევნების პროცესს ახასიათებდა ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების უქონლობა, ჩაეტარებინა ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები, რასაც შედეგად ფართომომცველი და სისტემური გაყალბება მოჰყვა. მნიშვნელოვანი ხარვეზები აშკარა იყო 2 ნოემბრამდე, უშუალოდ არჩევნების პროცესში და შემდგომაც, განსაკუთრებით აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, სადაც მომხდარმა აღმაშფოთებელმა გაყალბებამ არსებითად იმოქმედა მთელს სახელმწიფოში არჩევნების შედეგების უტყუარობაზე.

- ამ დარღვევებმა პროვოცირება გაუკეთა პოლიტიკურ კრიზისს, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა და დიდი რაოდენობით მოქალაქეებმა შეურიგებლობა გამოხატეს საარჩევნო მანიპულაციებისა და გაყალბებისადმი. გამართულმა დემონსტრაციებმა, საბოლოო ჯამში, პრეზიდენტის გადადგომა და საპარლამენტო არჩევნების პროპორციული კომპონენტის გაუქმება

გამოიწვია. პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე ამჟამად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია 2004 წლის 4 იანვარს დანიშნულ ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

- საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო არჩევნებისათვის სანდო საარჩევნო სიის შედგენა, რის გამოც ამომრჩეველთა პოტენციურად მნიშვნელოვან ნაწილს საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა, განსაკუთრებით თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. არჩევნებამდელ სხვა დარღვევებს შორის იყო ამომრჩევლებზე ზეწოლა, ძალადობის შემთხვევები ოპოზიციის მხარდამჭერთა წინააღმდეგ და სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივად გამოყენება სახელისუფლებო ბლოკის „ახალი საქართველოსათვის“ მიერ.

- სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი საარჩევნო უბნებზე 2 ნოემბერს, რაც უშუალოდ შეამჩნიეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა, მაგალითებად გამოდგება საარჩევნო ყუთში ბევრი ბიულეტენის ერთად ჩაყრა, წინასწარ შემოხაზული ბიულეტენების გამოყენება, ერთი და იმავე პირის მიერ ხმის რამდენჯერმე მიცემა და საარჩევნო ყუთების განადგურება. ხმებით მანიპულირების სხვა მცდელობებიც იქნა აღრიცხული, ამასთან ზოგიერთ ადგილობრივ დამკვირვებელს მუშაობაში ხელს უშლიდნენ და ემუქრებოდნენ კიდეც.

- საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი წევრი უშუალოდ მონაწილეობდა არჩევნების შედეგების არაპატიოსანი გზით შეცვლაში, უმთავრესად, მაგრამ არა მხოლოდ, სახელისუფლებო ბლოკის „ახალი საქართველოსათვის“ და „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ სასარგებლოდ. ზოგიერთი ამ შედეგთაგანი საოცრად არარეალურია. აღნიშნულ პირთა საქციელმა ნათელყო მათი სრული უპატივცემულობა მოქალაქეთა მიერ გაკეთებული არჩევანისადმი და სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს შეუწყო ხელი. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაუსჯელობის კულტურას შეიძლება ბოლო მოეღოს მხოლოდ იმ ადამიანთა დასჯით, ვინც გააზრებულად და საკუთარი სურვილისამებრ დაარღვია კანონი.

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პასიური მიდგომა აირჩია უფრო დაბალი დონის კომისიათა მიერ ჩადენილი დარღვევებისადმი და არჩევნების არარეალური შედეგები უმეტესწილად დაეჭვების გარეშე აღიარა. მან ვერ უზრუნველყო პროცესის ეფექტიანად მართვა და ვერ შესთავაზა გამოსავალი დარღვევათა გამოსწორების მსურველებს. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციას, ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, შესაძლებლობა, საერთაშორისო მხარდაჭერა და დაფინანსება ჰქონდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბევრმა წევრმა ვიწრო პარტიული ინტერესები დემოკრატიულ პრინციპებზე მაღლა დააყენა. საქართველოს მომავალმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას ამ ვითარების გაგრძელება. ის ადამიანები, რომლებიც შეეგუენ ან მონაწილეობდნენ გაყალბებაში უკანასკნელი და უფრო ადრეული არჩევნების დროს, არ უნდა ჩაითვალონ ვარგისად საარჩევნო კომისიებში სამსახურისათვის.

- მედიამ და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებიდან“ („სამართლიანი არჩევნები“) და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან“ გადამწყვეტი როლი ითამაშეს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის გაზრდაში. მათ მიერ არჩევნების პერიოდში შეგროვილმა მონაცემებმა საფუძველი შეუქმნა ამ არჩევნების სასამართლოში გასაჩივრებას. აჭარაში გიორგი მშვენიერაძის დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა ადგილობრივი

დამკვირვებლის ლეგიტიმური მოვალეობის შესრულების დროს (ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-8 მუხლის თანახმად) სერიოზულ აღელვებასა და შეშფოთებას იწვევს.

- „სამართლიანი არჩევნების“ მიერ სანდო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ჩატარებულმა ხმების პარალელურმა დათვლამ და გამოკითხვამ (ეგზიტ პოლმა), რომელმაც ასეთივე შედეგები აჩვენა, დამოუკიდებლად დაუდასტურა ამომრჩევლებს არჩევნების პროცესში მომხდარი მრავალი დარღვევა.

- 22/23 ნოემბრის მოვლენებამდე, რომლებიც პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომით დასრულდა, სასამართლოებმა საჩივრები და აპელაციები განიხილეს და ზოგიერთ შემთხვევაში გაბედული განაჩენებიც კი გამოიტანეს. მაგრამ, უამრავ შემთხვევაში მოსამართლეებმა საარჩევნო დავების მართებულად გადაწყვეტა ვერ შეძლეს. ახალმა ადმინისტრაციამ უნდა შექმნას გარანტიები სასამართლოთა დამოუკიდებლად ფუნქციონირებისათვის და მათი გადაწყვეტილებების მხარდაჭერისა და განხორციელებისათვის.

- არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს საქართველოს ხელისუფლებამ დიდწილად დაიცვა მშვიდობიანი შეკრებებისა და სიტყვის თავისუფლება, აღსანიშნავია ასევე, რომ დემონსტრანტებმაც და კანონის დამცველებმაც მოსაწონი თავშეკავება გამოიჩინეს. თუმცა, არჩევნებზე დამკვირვებელთა მისია შეშფოთებულია თავისუფლად გადაადგილების უფლებისადმი უთანასწორო მიდგომით, ისევე როგორც 19 ნოემბერს ბოლნისში მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმით. ეს მოვლენა სრულად უნდა იქნეს გამოძიებული, ხოლო ბოროტმოქმედები – დასჯილნი.

- 25 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა პროპორციული წესით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები (150 სადეპუტატო მანდატი). თუმცა, გაურკვეველი რჩება 75 ოლქში მაჟორიტარული წესით გამართული არჩევნების სტატუსი. რამდენიმე მათგანთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი იქნა შეტანილი, რამაც უფრო ფართო სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს. ამჟამად ლეგიტიმურადაა მიჩნეული 1999 წლის მოწვევის პარლამენტი, რომლის უფლებამოსილებაც ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე გაგრძელდება. ეს პარლამენტი ხელახლა შეიკრიბა 25 ნოემბერს 165 კაცის შემადგენლობით და, 45 დღეში ვადამდელი არჩევნების ჩატარების კონსტიტუციური მოთხოვნის შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის 4 იანვარს დანიშნა. საპარლამენტო არჩევნების თარიღი კი ჯერ არ განსაზღვრულა.

- ზემოაღნიშნული ვადების დაცვა სერიოზული სირთულე იქნება საარჩევნო ადმინისტრაციისათვის. განსახილველი საკითხები მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოთა დაკომპლექტებას, მოსამზადებელ სამუშაოებს, მათ შორის ამომრჩეველთა სიების გასწორებასა და საარჩევნო პროცესის დაფინანსებას.

- საპრეზიდენტო არჩევნები სულ მალე დაანახებს ელექტორატსა და საერთაშორისო დამკვირვებლებს, სურს თუ არა ახალ ხელისუფლებას ყველა დონეზე ნამდვილი, სანდო და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. 2003 წლის არჩევნების შემდგომ, მთავრობას დემოკრატიული საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის აღდგენა და სახელმწიფო უწყებების მიუკერძოებლობაში მისი დარწმუნება მოუწევს. სასამართლო შტოს გადამწყვეტი

როლი დაეკისრება საარჩევნო კანონის დამრღვევთა დაუსჯელობის ხანის დასრულებაში. მისი მოქმედება, მედიასა და ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია.

- ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ძირითადი ჯგუფი გააგრძელებს პოლიტიკურ პროცესებსა და საარჩევნო სამზადისზე დაკვირვებას, ხოლო ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისია 7 დეკემბრიდან ისევ შეუდგება თავის რეგულარულ სადამკვირვებლო საქმიანობას და სრული დატვირთვით იმუშავებს.

ხმების დათვლა და შედეგების შეჯამება

2 ნოემბერს არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიის დაახლოებით 450 დამკვირვებელი იმყოფებოდა საქართველოში. მათ შეამჩნიეს უამრავი სხვადასხვა სახის ხარვეზი და დარღვევა, ისევე როგორც არჩევნების პირდაპირი გაყალბების რამდენიმე სერიოზული შემთხვევა. არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები დაესწრნენ 150 საარჩევნო უბანში ბიულეტენების დათვლის პროცედურას. ზოგადად, ხმების დათვლის პროცესი საეჭვოდ და არაორგანიზებულად მიმდინარეობდა, უბნების 31%-ში დათვლამ ხარვეზებით ჩაიარა, დამკვირვებელთა 24%-მა კი შედეგების სიზუსტისადმი მცირე ან ძალიან მცირე ნდობა გამოავლინა. ხმების დათვლის დროს ბევრმა საუბნო საარჩევნო კომისიამ სწორად ვერ შეასრულა პროცედურები, ხოლო დამკვირვებლებმა სერიოზული დარღვევების დიდი რაოდენობა დააფიქსირეს, მათ შორის საარჩევნო ყუთში ბევრი ბიულეტენის ერთად ჩაყრის 6 შემთხვევა. 21 საარჩევნო უბანზე (დაკვირვების ობიექტთა 15%) დამკვირვებლებს ხელი შეუშალეს მუშაობაში. საუბნო საარჩევნო კომისიებმა უმეტესწილად ვერ შეძლეს არჩევნების შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება.

საერთაშორისო მისიის მოკლევადიანი დამკვირვებლები 75–დან 42 საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომასაც დაესწრნენ, სადაც ისინი საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ შედეგების წინასწარ შეჯამებას ადევნებდნენ თვალყურს. მართალია, მათი მონაცემებით, ცალკეულ შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიები კანონის თანახმად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, მაგრამ ძალიან ხშირად პროცესი იყო დაძაბული, არაორგანიზებული, არაგამჭვირვალე და სერიოზული ხარვეზებით აღსავსე. საოლქო საარჩევნო კომისიების უმრავლესობამ შეასრულა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოთხოვნა, მიეწოდებინა მისთვის თითოეული უბნის შედეგები, მაგრამ დაკვირვების ობიექტ საოლქო კომისიათაგან 12-მა ეს არ გააკეთა. საოლქო საარჩევნო კომისიების უმეტესობაში დამკვირვებლებს ხელი მიუწვდებოდათ არჩევნების შედეგებზე, მაგრამ მრავალ შემთხვევაში დამკვირვებლებმა ვერ მიიღეს მათი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია, მათ შორის მონაცემები შედეგების შესახებ. 16 საოლქო საარჩევნო კომისიაში დამკვირვებლებმა შეჯამების შედეგთა სიზუსტისადმი ნდობის მცირე ან ძალიან მცირე ხარისხი გამოხატეს.

დამკვირვებლები ყურადღებით აკვირდებოდენ შერჩეული საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობას. მათი მუშაობის ხარისხი 3 ნოემბრის შემდგომ კიდევ უფრო გაუარესდა და ბევრმა მათგანმა უბრალოდ უგულებელყო ერთიანი საარჩევნო კოდექსი და ძირითადი საარჩევნო პრინციპები. ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიები უშუალოდ და განზრახ იყვნენ ჩართულნი არჩევნების შედეგებით მანიპულირებაში. სერიოზული ხარვეზების ნუსხა ასე გამოიყურება:

- საუბნო საარჩევნო კომისიათა შედეგების ოქმთა შევსება ან შეცვლა საოლქო საარჩევნო კომისიებში ან მათ გარეთ და არა საუბნო საარჩევნო კომისიებში, როგორც ეს კანონითაა განსაზღვრული, მაგალითად ტყიბულში, წალენჯიხაში, ისანში, წყალტუბოსა და სამტრედიაში;

- როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგთა ოქმების გაყალბება, ზოგჯერ უბნებზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდით, მაგალითად გარდაბანში, მარნეულში, ხელვაჩაურსა და ბათუმში;

- ერთსა და იმავე უბანზე განსხვავებული შედეგების მქონე სხვადასხვა ოქმების არსებობა, მაგალითად ნაძალადევსა და ვანში;

- ცარიელი ოქმების ხელმოწერა, მაგალითად მარნეულის, ვანისა და დუშეთის ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში;

- საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ოქმების არგადაცემა, მაგალითად, ქუთაისისა და ვანის ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ;

- საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო მასალების არდალუქვა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მასალების უსაფრთხოდ არშენახვა, მაგალითად, გლდანში, ბაღდათში, ლანჩხუთში, ბათუმში, ქობულეთსა და ხულოში;

- საოლქო საარჩევნო კომისიებში კანონით აკრძალულ პირთა, მათ შორის პოლიციელთა ყოფნა, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ზეგავლენას ახდენდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობაზე, მაგალითად, გურჯაანში, დედოფლისწყაროში, დუშეთში, წალკაში, ჭიათურასა და ზუგდიდში;

- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან ხელმოუწერელი, ბეჭედდაურტყმელი ოქმების მიღება, მაგალითად, ხელვაჩაურში;

- გამგებლების (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების) მიერ საოლქო საარჩევნო კომისიათა მუშაობაში ჩარევა, მაგალითად, სამგორში, ქვემო ქართლსა და ხაშურში;

- საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრებისა და დამკვირვებლების დაშინება, მაგალითად, რუსთავში;

- უბნებზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობის ხელოვნურად შემცირება არჩევნების დღის შემდეგ იმისათვის, რომ პირველ ადგილზე გასულ კანდიდატს მეორე ტურში მონაწილეობა აღარ დასჭირვებოდა, მაგალითად, ლიახვში;

- პირველ ადგილზე გასული კანდიდატისათვის მიცემული ხმების ხელოვნურად გაზრდა იმისათვის, რომ მას მეორე ტური აეცილებინა თავიდან, მაგალითად, ლაგოდეხში;

- არჩევნების შედეგებით მანიპულირების მცდელობა ცალკეული საუბნო საარჩევნო კომისიათა შედეგების გაუქმებით იმისათვის, რომ მეორე ადგილზე გასული კანდიდატის ანუ მეორე ტურის მონაწილეთა ვინაობა შეცვლილიყო, მაგალითად, მთაწმინდასა და ასპინძაში;

- არჩევნების შედეგების თაობაზე ოფიციალური საჩივრების იგნორირება, მაგალითად, ბოლნისში, სამგორში, რუსთავში, მარნეულში, გარდაბანში, ხაშურში და მთაწმინდაზე;

- ბიულეტენების გაყალბებასთან შეგუება, მაგალითად, სამგორში, სადაც ხმების გადათვლამ არასწორად შევსებული ბიულეტენები გამოავლინა, რომლებიც ამის მიუხედავად ბათილად არ ჩაითვალა;

- შედეგების გარიგების გზით და არა ოქმების საფუძველზე დადგენა, მაგალითად, სამგორსა და ქუთაისში;

- დამკვირვებელთა მცდარად ინფორმირება შემოტანილი საჩივრებისა და სასამართლო სარჩელების რაოდენობის თაობაზე, მაგალითად, აბაშაში;

- ქვეყნის საზღვრებს გარეთ განლაგებული 18 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედეგთა ამსახველი პირველადი ოქმების საოლქო საარჩევნო კომისიისათვის არმიწოდება.

წინასწარი შედეგების გამოცხადება

არჩევნების დღეს ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ „სამართლიანმა არჩევნებმა“ აწარმოა ხმების პარალელური დათვლა და საზოგადოებას არჩევნების საერთო შედეგების შესახებ მოახსენა, საქართველოში არსებული საარჩევნო უბნების დიდი ნაწილიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე. ამას გარდა, ორმა ორგანიზაციამ ჩაატარა გამოკითხვა (ეგზიტ პოლი): „GSM“-მა რუსთავი 2-სათვის და „Niccolo M & Sora“-მ სახელმწიფო ტელევიზიისათვის. ორივე ორგანიზაციამ უბნებიდან გამოსულ 20 000-ზე მეტ ამომრჩეველს ჰკითხა, თუ ვის მისცეს მათ ხმა. ამ გამოკვლევათა შედეგები არჩევნების ღამეს ან ოდნავ მოგვიანებით გამოქვეყნდა. პარალელური შეჯამებისა და „GSM“-ის ეგზიტ პოლების მიხედვით, „ნაციონალური მოძრაობა“ აშკარად ლიდერობდა, ხოლო ბლოკი „ახალი საქართველოსათვის“ მეორე ადგილზე იმყოფებოდა და მცირეოდენით უსწრებდა მესამე ადგილზე გასულ „ლეიბორისტულ პარტიას.“ ამავე მონაცემებით, კიდევ სამმა პარტიამ გადალახა 7%-იანი ბარიერი: „ბურჯანაძე დემოკრატებმა,“ „აღორძინებამ“ და „ახალმა მემარჯვენეებმა,“ თუმცა კი, ზუსტი მაჩვენებელი, რომლიდანაც 7% დაანგარიშდა გაურკვეველი იყო.

3 ნოემბრის დილიდან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო წინასწარი არაოფიციალური შედეგების განთავსება საკუთარ ვებ-საიტზე. თუმცა, მან უარი თქვა საუბნო საარჩევნო კომისიათა პირველადი მონაცემების გამჟღავნებაზე, მის მიერ გამოცხადებული შედეგები საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებულ ზეპირ ცნობებს ეყრდნობოდა. მართალია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარი არაოფიციალური შედეგების გამოქვეყნება მისასალმებელი სიახლე იყო და გამჭვირვალობის ზრდას უწყობდა ხელს, მაგრამ მონაცემთა მათემატიკური ლოგიკა არ შემოწმებულა და აშკარად შეიმჩნეოდა მრავალი ანომალია. ნიშანდობლივია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ხმების პარალელური შეჯამებისა და ეგზიტ პოლების შედეგებისაგან, „ნაციონალურ მოძრაობას“ ბლოკი „ახალი საქართველოსათვის“ უსწრებდა. თუმცა, როდესაც აჭარის შედეგები გახდა ცნობილი, გარკვეული ხნით „აღორძინებამ“ გადაინაცვლა პირველ ადგილზე, ხოლო როდესაც ამას ქვემო ქართლის შედეგები დაემატა, „აღორძინება“ მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა, მაგრამ „ნაციონალურ

მოძრაობასთან“ შედარებით უპირატეს პოზიციაზე დარჩა. რამდენიმე შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებული შედეგები საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ არჩევნების შემდგომ ღამეს აღრიცხულ შედეგებს ეწინააღმდეგებოდა.

ქვემოთ მოცემულია ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ხმების პარალელური შეჯამების შედეგები:

პარტია/ბლოკი	**ოფიციალური შედეგები %**	**ადგილი**	**ხმების პარალელური დათვლა %**	**ადგილი**
ახალი საქართველოსათვის	21.32%	1	18.92%	2
დემოკრატიული აღორძინების კავშირი	18.84%	2	8.13%	5
ნაციონალური მოძრაობა	18.08%	3	26.60%	1
ლეიბორისტები	12.04%	4	17.36%	3
ბურჯანაძე-დემოკრატები	8.79%	5	10.15%	4
ახალი მემარჯვენეები	7.35%	6	7.99%	6
7%-იანი ბარიერი				
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	6.17%	7	5.20%	7

აჭარაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვის გაზრდამ გამოიწვია ისეთი შედეგები, რომლებითაც „აღორძინებას“ უფრო მეტი ხმა ჰქონდა მიღებული, ვიდრე ნებისმიერ წინა არჩევნებში. აჭარის ხელისუფალთა მტკიცებით, მათ 289,000 რეგისტრირებული ამომრჩეველი ჰყავთ, ანუ 22%-ით მეტი ვიდრე 2000 წელს, ამათგან 97%-მა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და 96,7%-მა „აღორძინებას“ მისცა ხმა. თუმცა, ამგვარი დარღვევები მხოლოდ აჭარაში არ მომხდარა. ამორჩეველთა რაოდენობით მანიპულირებას ადგილი ჰქონდა სხვა ოლქებშიც, მაგალითად ტყიბულში (იმერეთში). უამრავი დარღვევა ახასიათებდა ხმის მიცემის პროცესს ქვემო ქართლში, როგორც არჩევნების დღეს, ისე შემდგომ, რასაც საერთაშორისო დამკვირვებლები შეესწრნენ, საეჭვო იყო უბნებზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ მონაცემებიც. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საარჩევნო უბნებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი ნათელყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიები წარმოუდგენლად სწრაფად უშვებდნენ ამომრჩევლებს. უბნებზე მისულ ადამიანთა რიცხვის გაზრდამ და ზოგიერთი პარტიისათვის ხმების გაყალბებით მიკუთვნებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არჩევნების საერთო შედეგებზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე და უშუალოდ არჩევნების დღეს მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გაართულა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა და, შესაბამისად, არჩევნებზე მისულ ადამიანთა ზუსტი რაოდენობის დადგენა, რაც არჩევნების შედეგთა სისწორის განმსაზღვრელია. ზოგიერთ ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვი მხოლოდ არჩევნების შემდგომ გამოცხადდა.

არჩევნების ადმინისტრირება

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება არჩევნების კანონისამებრ ჩატარების უზრუნველსაყოფად და არ მოიწვია სხდომა 9 ნოემბრამდე. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დეტალურად არ შეისწავლა შედეგები, შემოწმების გარეშე დაადასტურა აშკარად საეჭვო და წარმოუდგენელი მონაცემები და, ამასთანავე, არ მისცა თავის თანამშრომლებს ნათელი ინსტრუქციები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ ანომალიურ შედეგებს. ბევრმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ განახორციელა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და კანონმდებლობის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობები. ამდენად, იყო სერიოზული ხარვეზები. მათ შორის:

- მრავალმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ მიაწოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წინასწარი შედეგები;

- 18 საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ გადასცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმები, რაც კანონითაა გათვალისწინებული;

- ბევრმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ გადაუგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმების სწორი (ანუ №1 ან №2) ვარიანტები;

- მნიშვნელოვანი შეუსაბამობა იქნა შემჩნეული 18 საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგებსა და იმ საუბნო საარჩევნო კომისიათა მონაცემებს შორის, რომლებსაც ეს შედეგები ეფუძნებოდა;

- საოლქო საარჩევნო კომისიების დიდმა ნაწილმა ვერ გამოაქვეყნა ისეთი ოქმები, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიათა შედეგები იქნებოდა მოცემული;

- რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შეცვალა შედეგები მათი საოლქოდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადატანისას, ან საკუთრივ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არჩევნების საზღვარგარეთ ჩატარება ევალებოდა. დამკვირვებლებმა წინასაარჩევნო პერიოდში უცხოეთში მცხოვრებ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის აუხსნელი და ანომალიური ზრდა შეამჩნიეს, მათ შორის სარეგისტრაციო ვადის გასვლის შემდგომაც. საზღვარგარეთ მდებარე ზოგიერთი საარჩევნო უბნიდან მოსული შედეგები სრულიად არარეალური იყო, მაგალითისათვის, ეს ეხება სტამბოლს, ტრაბზონს, ლუგანსკსა და ბაქოს. მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიამ, რომელსაც საზღვარგარეთის ხმები მიეკუთვნება, ვერ შეასრულა სასამართლოს მითითება ხმების გადათვლის თაობაზე, ვინაიდან არც ბიულეტენები და არც ამომრჩეველთა სიები ხელთ არ ჰქონდა. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსათვის“ მიცემული ხმები მუდმივად იზრდებოდა, და საბოლოო ჯამში მათი დასაბუთება შეუძლებელია, მაგალითად, ლუგანსკში №47 (უკრაინა) პარტიამ, პირველადი შედეგებით 0 ხმა მიიღო, საბოლოო ოქმით კი – 1000. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით ხმების მიღებამ ეს პარტია 7%-იან ბარიერთან მიაახლოვა.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საბოლოო ანგარიშში 1999 წლის არჩევნების შესახებ ხაზგასმული იყო იმ რიცხობრივი მაჩვენებლის განსაზღვრის ანომალიურობა, რომელთან მიმართებაშიც 7%-იანი ბარიერი დგინდება. 13 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა ვარგის ბიულეტენთა რიცხვზე დაყრდნობით გამოავლინა და სწორედ ეს მაჩვენებელი აირჩია 7%-იანი ბარიერის გამოსათვლელად. აღსანიშნავია, რომ აქტიურ (არჩევნებზე მისულ) ამომრჩეველთა რაოდენობა და ის მაჩვენებელი, რომლიდანაც 7%-იანი ბარიერის დაანგარიშება ხდება ერთი და იგივე არ არის. სამწუხაროა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ეს საკითხი არჩევნებამდე არ განმარტა.

13 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 54 ოლქში მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგები გამოაცხადა. მართალია, მეორე ტური და ხელახალი არჩევნები რამდენიმე უბანში თავდაპირველად 16 ნოემბერს დაინიშნა, მაგრამ შემდგომ მათი უმეტესობა 23 ნოემბრისათვის იქნა გადატანილი, ზოგიერთი კი – 30 ნოემბრისათვის, რამაც საარჩევნო პროცესის ფრაგმენტაცია გამოიწვია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა, საჯაროდ არ გამოეცხადებინა პროპორციული წესით გამართული არჩევნების ოფიციალური შედეგები და სრულად გამოეყენებინა 18 დღიანი ვადა, 20 ნოემბერს საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე. ამან შეამცირა გამჭვირვალობა და ხელი არ შეუწყო პოლიტიკური დაძაბულობის შესუსტებას.

საარჩევნო დავების განხილვა

საარჩევნო კომისიათა წევრებმა, პარტიათა თუ კანდიდატთა წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა არჩევნების დღეს და შემდგომ მომხდარი დარღვევების გამო საჩივრების შეტანის სამართლებრივ მექანიზმებს მიმართეს. სამწუხაროდ, ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ არ მოისურვა საჩივრების განხილვა, ბევრი მათგანი უგულებელყო, გააუქმა ტექნიკური წვრილმანების მიზეზით ან სულაც დოკუმენტები დაკარგა, მაგალითად დუშეთში დიდი რაოდენობით საჩივრები მოიპარეს, ხოლო რუსთავში 100 გვერდამდე საჩივრები საერთოდ არ განიხილეს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 100-ზე მეტი საჩივარი და აპელაცია მიიღო, მაგრამ მათი შესწავლა 13 ნოემბრამდე არ დაიწყო. საჩივრების უმეტესობა არ იქნა დაკმაყოფილებული, თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში ცენტრალურმა საარჩევნო კომისია არ მიემხრო საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას, მაგალითად კრწანისსა და ოზურგეთში მან ბიულეტენების გადათვლის შესახებ დადგენილება გამოიტანა. თუმცა, მთლიანობაში საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ შეიმუშავა პრაქტიკული მექანიზმი საჩივრებისა და აპელაციების განსახილველად და მათზე სამართლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან აქტიურად ისმენდნენ სარჩელებს, ხშირად გვიანობამდეც მუშაობდნენ, რათა დადგენილი ვადები დაეცვათ. რამდენიმე შემთხვევაში სასამართლოებმა გაბედული გადაწყვეტილებები მიიღეს. თუმცა, დარღვევებისა და, აქედან გამომდინარე, საჩივრების დიდმა ოდენობამ გაუძნელა მათ თითოეულ სარჩელზე სამართლიანი განაჩენის გამოტანა. ხშირ შემთხვევაში მოსამართლეებმა ვერ გადაწყვიტეს სადავო საკითხები. სასამართლოთა მიერ არჩევნების შედეგების გაუქმების მიუხედავად, მონაცემები ზოგჯერ საოლქო საარჩევნო კომისიებს უბრუნდებოდა ხელახალი შემოწმებისათვის. ეს განსაკუთრებით პრობლემური იყო იმ რეგიონებში, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიამ კანონისადმი სრული უპატივცემულობა გამოამჟღავნა, მაგალითად, ბოლნისში. სასამართლოთა მიერ ბიულეტენების გადათვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საპასუხოდ საოლქო საარჩევნო კომისიები უბრალოდ საეჭვო ოქმებს ხელახლა აჯამებდნენ.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ აჭარის სამ ოლქში ჩატარებული არჩევნების შედეგები გაასაჩივრა. მაგრამ აჭარის საოლქო საარჩევნო კომისიებთან დაკავშირებული ნებისმიერ დავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლო სისტემის იურისდიქციაში შედის. 25 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საპარლამენტო არჩევნების პროპორციული ნაწილის შედეგები (150 სადეპუტატო მანდატი). 75 მაჟორიტარულ ოლქში გამართული არჩევნების სტატუსი კი გაურკვეველი რჩება.

პოლიტიკური გარემო

2 ნოემბრის შემდგომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ბურჯანაძე დემოკრატებმა“ გამოაცხადეს თავიანთი გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში და საქართველოს მთავრობა არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულეს. დაძაბული ატმოსფერო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარი შედეგების გამოცხადებამდეც იგრძნობოდა, ამის შემდეგ კი პოლიტიკური ვითარება უფრო პოლარიზებული და ანტაგონისტური გახდა. 4 ნოემბრიდან ზემოთხსენებულმა პარტიებმა „ერთობასთან“ ერთად თბილისში საპროტესტო გამოსვლები დაიწყეს, მათ პარტიულ აქტივისტებს ახალგაზრდული მოძრაობა „კმარაც“ შეუერთდა. ლეიბორისტებმა, აღორძინებამ, ახალმა მემარჯვენეებმა და მრეწველებმა ამ პარტიათა პოზიცია და ტაქტიკა გააკრიტიკეს.

დემონსტრაციებს ახალი ბიძგი მიეცა 6 ნოემბერს, როდესაც აჭარიდან არჩევნების არარეალური შედეგები ჩამოვიდა, რამაც ოპოზიციის უკმაყოფილება გაამძაფრა. ამ პერიოდის განმავლობაში დემონსტრაციები იმართებოდა ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიასთანაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. საპროტესტო გამოსვლებმა პარლამენტის წინ რამდენიმე კვირიანი მორიგეობის ფორმა მიიღო, რომლის დროსაც წამყვანი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მრავალ მოთხოვნას აყენებდნენ, მათ შორის არჩევნების შედეგების გაუქმებასა და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომას. ამას გარდა, „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“ ყველა ოპოზიციურ პარტიას მიმართეს, პარლამენტის ბოიკოტირება მოეხდინათ.

მკვეთრი რიტორიკის მიუხედავად, 9 ნოემბერს პრეზიდენტ შევარდნაძესა და ორი ოპოზიციური პარტიის ლიდერებს შორის მოლაპარაკებები გაიმართა. ისინი უშედეგოდ დასრულდა და ოპოზიციამ დემონსტრაციები განაგრძო. 10 ნოემბერს პრეზიდენტი მოულოდნელად აჭარაში გაემგზავრა ასლან აბაშიძესთან კონსულტაციებისათვის. მათმა შეხვედრამ საზოგადოების თვალში აშკარა გახადა ამ ორი, თითქოს მოწინააღმდეგე პოლიტიკოსის დაახლოება. 14 ნოემბერს, თბილისში ორგანიზებული თავყრილობების შემდეგ, ორმა ოპოზიციურმა პარტიამ პარლამენტის შენობის წინ მორიგეობა შეწყვიტა და მხარდამჭერებს არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდა. დემონსტრაციები საქართველოს სხვა დიდ და პატარა ქალაქებში გაგრძელდა.

18 ნოემბერს „აღორძინებამ“ თბილისში საპასუხო დემონსტრაცია გამართა, რომელსაც ამ პარტიის მხარდამჭერთა გარდა, პრეზიდენტის მომხრე ძალებიც დაესწრნენ. უამრავი დემონსტრანტი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ჩამოვიდა აჭარიდან. ეს მკვეთრად განასხვავებდა ამ აქციებს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ მიერ ორგანიზებული დემონსტრაციებისაგან, რომელთა მონაწილეების რეგიონებიდან თბილისში გადაადგილებას ხელისუფლების წარმომადგენლები ზღუდავდნენ.

22 ნოემბერს, როგორც ეს ფართოდ გააშუქა საერთაშორისო მედიამ, დემონსტრაციებმა კულმინაციას მიაღწია და მომიტინგეთა მიერ ახალი პარლამენტის შეკრებისათვის პირდაპირი ხელის შეშლით დაგვირგვინდა. 23 ნოემბერს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა. კონსტიტუციის თანახმად, 4 იანვრის ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობას პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე შეასრულებს.

მთელი ამ პოლიტიკური კრიზისის მანძილზე სამართალდამცველებიც და დემონსტრანტებიც თავშეკავებულად იქცეოდნენ, მშვიდობიანი შეკრებებისა და სიტყვის თავისუფლება უმთავრესად დაცული იყო. თუმცა, შეიარაღებული ინციდენტი მოხდა ზუგდიდში, ხოლო 19 ნოემბერს ბოლნისში ოპოზიციის მომხრე მშვიდობიან დემონსტრანტებს თავს დაესხნენ ხელისუფლების მხარდამჭერები, რომელთა შორის ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყვნენ, პოლიცია კი ამ ყველაფერს გულგრილად უყურებდა.

მედია

არჩევნების შედეგების გამოცხადებასთან დაკავშირებულმა აჟიოტაჟმა უკანა პლანზე გადაწია არჩევნების მეორე ტური. ქართული საინფორმაციო საშუალებები სრულად აშუქებდნენ დემონსტრაციებსა და პოლიტიკურ მოვლენებს, ხოლო საერთაშორისო მედიის რეპორტაჟებმა მთელს მსოფლიოს აუწყა საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ. 22 ნოემბრამდე სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხი ნეგატიურად აშუქებდა ოპოზიციის დემონსტრაციებს, ტელეარხმა „იმედმა“ კი დემონსტრაციების კულმინაციამდე ცოტა ხნით ადრე გაიზიარა პრო-ოპოზიციური განწყობა.

2 ნოემბრის შემდეგ სახელმწიფო ტელევიზიის ორი არხი (პირველი არხი და აჭარის ტელევიზია) მიკერძოებულად ასახავდა პოლიტიკურ მოვლენებს. პირველმა არხმა არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთა არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიის მიერ 3 ნოემბრის პრეს-კონფერენციაზე წარმოდგენილ შედეგებსა და დასკვნებს, ვინაიდან უფრო პოზიტიური სურათი დახატა, ვიდრე ეს მისიის წევრთა გამონათქვამებსა და წინასწარ განცხადებაში იყო ნაჩვენები. პირველი არხის მტკიცე მხარდაჭერის მიუხედავად, 18 ნოემბერს პრეზიდენტმა გააკრიტიკა ცენტრალური ტელევიზია სახელმწიფოსადმი არასაკმარისი მხარდაჭერის გამო. ამის საპასუხოდ, 19 ნოემბერს პირველი არხის თავმჯდომარე გადადგა, მისი კომენტარით, სახელმწიფო ტელევიზიის ფუნქცია არ უნდა იყოს მხოლოდ მთავრობის ინტერესების დაცვა. აჭარის ტელევიზიამ კი „აღორძინებისა“ და ასლან აბაშიძის მოღვაწეობის ცალსახად გაშუქება განაგრძო.

პოლიტიკური დისკუსიების ტონი მედიაში ხშირად მტრული და გადამეტებული იყო, რისი ნათელი მაგალითიცაა აჭარის ტელევიზიის მიერ ტრანსლირებული კლიპი, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი ადოლფ ჰიტლერთან არის შედარებული. მიკერძოებული ანალიზი სახელმწიფო ტელევიზიით არ შემოიფარგლებოდა. რუსთავი 2 ძლიერ მხარდაჭერას გამოხატავდა „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ პოლიტიკური პოზიციის მიმართ. „კმარას“ სარეკლამო რგოლების ეთერში განთავსება არხს სასამართლოს მიერ დაწესებულ, 128 000 ამერიკული დოლარის ოდენობის, ჯარიმად დაუჯდა.

განმეორებითი და მეორე ტურის არჩევნები

გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, თუ სად და როდის უნდა ჩატარებულიყო განმეორებითი არჩევნები მუდმივად იცვლებოდა. 16 ნოემბერს განმეორებით ხმის მიცემის პროცედურა ჩატარდა

სამტრედიის ოთხ უბანსა და წალენჯიხის ერთ უბანში. არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები დაესწრნენ ხმის მიცემას სამტრედიაში, სადაც 2 ნოემბერს საარჩევნო ყუთები მოიპარეს და რამდენიმე დარღვევისა და ანომალიის მოწმენი გახდნენ, მათ შორის აღსანიშნავია, ამომრჩეველთა დაშინება, საერთაშორისო დამკვირვებელთათვის მოძრავი ყუთის თანხლებაზე უარის თქმა, არჩევნების წინა პერიოდში უამრავი პირადობის დამადასტურებელი დროებითი მოწმობის გაცემა, დიდი რაოდენობით დამკვირვებლების ყოფნა ორგანიზაციიდან „დიდი აბრეშუმის გზა," რომელთაგან ზოგიერთი შეიარაღებული იყო და არჩევნების პროცესში ერეოდა. დარღვევებისა და დაშინების მიუხედავად, არჩევნები სამტრედიაში ოპოზიციის კანდიდატმა მოიგო, თუმცა, საგრძნობლად შემცირებული უპირატესობით.

22 ნოემბერს შემოღებული საგანგებო მდგომარეობის გამო, არჩევნების მეორე ტური არ ჩატარებულა. ამდენად, ზოგიერთ მაჟორიტარულ ოლქში დანიშნული მეორე ტურის სტატუსი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ამ განცხადების მხოლოდ ინგლისური ვერსია წარმოადგენს
ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტს